კვირა, 20 აგვისტო 1917 წ.
რედაქციის ადრესი: თფილისი, ოლღას ქუჩა, № 6.
ფასი 25 კაპ.

ეშმაკის მათრახი

№ 34

1917

მერის სიმღერა

შეგირცხვეს დღეობა
ოცდა ათ ივლისო!
მშვიდობით ინკერნერ,
მშვიდობით თფილისო!
მე შენზე ვზრუნავდი
დღითა და ღამითა;
შენ კი თასს მომაწვდი
ნაღვლით და შხამითა...
არ მეზოგებოდა
მე შენთვის ხმა, ღონე,
და თურმე ქალაქში
სად მყავდა გამგონე!
მაშ ვისთვის ვაფრქვევდი
მე ,,სიტყვებს‘‘ მქუხარეს,
თუ ეგრე უდროოთ
დამსვამდი მწუხარეს?
მშვიდობით შენ, ჯაჭვო,
თავ-შემოსარებო;
მშვიდობით პატარა
წკრიალა ზარებო!
მშვიდობით სოლოლაკ,
მთაწმინდის ქუჩებო!
მარქვით, რას მერჩოდით
,,ხავაგზლის‘‘ მუშებო?
შეგირცხვეს დღეობა
ოცდა-ათ ივლისო!
მშვიდობით ძვირფასო
ქალაქო თფილისო.

—კი.



პატარა ფელეტონი

დამფუძნებელი კრება

ჯოჯოხეთის პარტიათა პირველ კრებაზედვე გამოირკვა "დამფუძნებელი კრების„ დიადი მნიშვნელობა ჩვენი დუხჭირი არსებობისათვის.

ხმის დიდი უმრავლესობით ნაციონალური საკითხის გადაჭრა პარტიათა დელეგატებმა „დამფუძნებელ კრებამდე" გადასდვეს.

მიწის საკითხი, რომელიც განსაკუთრებით საგრძნობელია ჯოჯოხეთისათვის ადგილის სივიწროვის გამო, მიუხედავათ სიმწვავისა ჯერ გაურკვეველი დარჩა და „დამფუძნებელ კრებისათვის" გიდაიდო.

საკითხი ეროვნული მხედრობის შესახებ ჩვენს სიეზდს თითქმის გარკვეული ჰქონდა, მაგრამ ბოლოს გამოირკვა, რომ მისი გადაწყვეტაც მხოლოდ და მხოლოდ ,,დამფუძნებელი კრების'' კომპეტენციაში შედის, რის გამო გადაიდო აღნიშნული კრების მოწვევამდე.

ასეთი ბედი ეწია, თითქმის ყველა ღირს-მნიშვნელოვან საკითხს და ღრმა ფიქრებირ დატვირთული დაბრუნდი სახლში.

— მადლობა ღმერთს, სახლში დაგინახე,— მომაგება ძვირფასმა კანონიერმა მეუღლემ ჩემმა, ქ-ნმა ჯვადუმ, — იქნებ ახლა მაინც მოვახერხო შენთან ორი სიტყვის თქმა საპირო საგანზე.

— რა ამბავია, ხომ არაფერი მომხდარა ოჯახში?

— ჯერ არ მომხდარა, მაგრამ ხომ შეიძლება მოხდეს?

— მაინც?

— მაინც ისა, რომ აგერ ივნისი მოდის ქალაქში აუტანელი სიცხეა.

— ვიცი, ვიცი...

— შენ არაფერიც არ იცი. შენ მაშინ გეცოდინება, როცა მეცა და ჩვენი ბავშვებიც ლოგინზე დავეყრებით ექიმებისა და ფარმაცევტების სათამაშოთ.

— მოთმინება ქ-ნო, მოთმინება ტყვილათ ხომ არ ამბობს საღმრთო წერილი: მოთმინებითა შენითა...

განა ცოტა ვითმინეთ? მეტი მოთმენა აღარ შეგვიძლია. განა როდემდი უნდა ვითმინოთ?.,

— როგორ თუ როდემდი? თავის თავად ცხადია ღამფუძნეყელ კრებამდე უნდა მოვითმინოთ. აქ ლაპარაკი ზედმეტი იქნება.

— დამფუძნებელ კრებამდე?..

— დიახ დამფუძნებელ კრებამდე. ახლა ხომ ძველი დრო არ არის დამფუძნებელ კრებას ანგარიში არ გაუწიოთ. სხვა არა იყოს რა ხალხი რას იტყვის.

— კარგი, კარგი, რა გაეწყობა, მაგ კრებასაც დაუცდით, ერთი დღით ადრე თუ გვიან ეგ არაფერია, მაგრამ აი ამ გოგოს თუ ახლავ არ ვუყიდეთ საგარაკო მაღალყელიანი ტუფლები ყოვლად შეუძლებელია.

— რამდენი სპირია?

— თვრამეტი თუმანი...

— რამდენიო?

— რამდენი და თვრამეტი, თვრამეტი თუმანი.

— აჰაა! განა ასე უსაშველო და აუცილებელია ახლავ ყიდვა?

— მაშ როგორ იქნება?..

— თავისთავად ცხადია, უნდა გადაიდოს დამფუძნებელ კრებამდე. ასეთი ლიდი ხარჯის ახლა გადაწყვეტა ყოვლათ შეუძლებელია.

— ვერაფერი გამიგია სწორეთ...

ადამიანო ნუ გაამხელ მაინც! რევოლიუციის ხანაში სცხოვრობ და დამფუძნებელი კრება ვერ გაგიგია, კარგია თქვენმა მზემ. უცხოსთან მაინც არ წამოგცდეს, სირცხვილია რას იტყვიან.

— კარგი, ბაშმაკებს გადავდობთ მამილო, მაგრამ შლიაპა ხომ დღესვე უნდა ვიყიდოთ, — ალერსით წარმოსთქვა ჩემმა უფროსმა ქალიშვილმა ბაცუმ.

— ამა გაიქეცი, არავინ მოგასწროს. ისე ლაპარაკობ მაშუკი, თითქო დამფუძნებელი კრებისთვის ვეღარ მოასწრობ. მოითმინე, ქვეყანა თუ კი იცდის შენ რაღა ხარ. რა არის შლიაპა დამფუძნებელ კრებასთან შედარებით,

— რა არის?

— რა არის და ხმელი ტარანი. ახალგაზრდა ბაინც არ იყო, რომ ასეთი სულწასულობა გეპატიოს. ეგ, თუ მათქმევინებ, დიდი სარევოლიუციო

მიზნების უპატივცემულობა და თითქმის მათი აბუჩად აგდებაა.

ბაცუ კონტრ რევოლიუციონერკა არასოდეს ალა ყოფილა; პირიქით რევოლიუციას ყოველთვის თანაუგრძნობდა „Постольку по сколько"ს პროპორციით. ახლაც თვალები ცრემლით აევსო და აღარ იცოდა სირცხვილიდან თავი როგორ დაეხწია.

— მე ხომ უსაშველოდ...

— არა ვიცი უსაშველოდ არ თხოულობ, ვინაიდან ეს პირდაპირ წარმოუდგენელი იქნებოდა შეგნებული ადამიანისაგან, მაგრამ დამფუძნებელ კრებაზე შეკამათება...

ჰო კარგი იყოს როგორც სჯობია, კრებაც ხომ მალე იქნება.

ვახშამზე რამოდენიმე მწვავე საოჯახო საკითხი წარმოსდგა, მაგრამ დამფუძნებელმა კრებამ ყველას ბოლო მოუღო და ოჯახში სიმშვიდე დაამყარა. ის იყო გულ დასაწოლათ გავემზადე, როცა მოულოდნელი უბედურება თავს დამატყდა. ჩემს მეუღლეს კბილი ასტკივდა.

— მოვკვდი, მოვკვდი, მიშველეთ ექიმთან— მწარე ოხვრა წუხილით შემომჩოდა ქ ნი ჯვადუ.

— დამშვიდდი, გენაცვა, ნუ ღელავ, რაც უფრო იმწუხრებ მით უარესია.

— მიშველეთ ექიმი ჩქარა, ექიმი! გაიძახოდა ჯვადუ და საშინლად იმდუღრებოდა.

— რათ გინდა ექიმი ჩემო კეთილო, განა ექიმს რა შეუძლია, რა უნდა დაგეხმაროს...

— მოვიგლეჯ უ. უ. უ. უ. ვაი, მიშველეთ ჩქარა...

— როგორ თუ მოიგლეჯ? კბილს მოიგლეჯ, ადამიანო, ასე უდროოთ?

— სტკივა მამილო, სტკივა, ვერა ხედავ როგორ იტანჯება—შენიშნა ბაცუმ...

— ღმერთო რა ხალხში ესცხოვრობ, რა ხალხში! გოგოვ განა მე კი არ ვიცი რომ სტკივა? მე ტკივილს ხომ არ ვამბობ; სტკიოდეს რამდენიც ენებოს, მაგრამ კბილის მოგლეჯა დამფუძნებელ კრებამდე, ეს ხომ მოუშოვებელი შეცდომა იქნება?

— მაშ რა ვქნა, მიშველეთ, ვკდები... ვკვდები...

— როგორ თუ რა ჰქნა ადამიანო! მეტი რა გზაა უნდა გაუძლო, უნდა მოითმინო. დამფუძნებელ კრებამდე კბილის მოგლეჯა ეს ხომ რევოლიუციის ღალატია, ეს ხომ საქვეყნოდ თავის მოჭრაა. ვინ იცის რა მოჰყვება დამფუძნებელ კრებას და შენ კი ახლავ გინდა კბილი მოიგლეჯო. განა დაუფიქრდი, როცა ამას ამბობდი?

— როგორ უნდა დავფიქრებოდი, დარცხვენით წარმოსთქვა ქალმა ჯვადუმ, რომელსაც მარჯვენა ყბა საგრძნობლად წამოუსივდა.—რომ არ მტკიოდეს განა მე კი არ ვიცი დამფუძნებელი კრება!..

— კიდევაც ისა მკლავს, ადამიანო, რომ იცით, მშვენივრათ იცით და მაინც მალაპარაკებთ. აი დაგიჟინიათ ლევანმა ამ კვირაში უთუოდ ჯვარი უნდა დაიწეროსო..

— ვითომ რალას ვუცდი ვერ გამიგია—წარმოსთქვა დინჯათ ჩემმა უფროსმა ვაჟმა...

— რას უცდი ვერ გაგიგია!.. შენ ჩემო კარგო შენი დარეჯანი გახსოვს ამ ქვეყნად,.. სხვა რამ თუა ყურადღების ღირსი იმაზე აღარც კი ფიქრობ.

— დიახაც კი ვფიქრობ.

— მაშ თუ კი ფიქრობ, რომელ ჭკუათა მყოფელს მოუვა თავში ჯვარის წერა და ისიც დამფუძნებელ კრებამდე.

— დამფუძნებელი კრება არ იყო უწინ, მაგრამ ჯვარს კი იწერდენ...

— სთქვა რუქამ არაკი! როცა არ იყო, მაშინ მოცდაც არ შეიძლებოდა და არც არავის გაემტყუნებოდა ასეთი საქციელი, მაგრამ როცა დამფუძნებელი კრების ეჩრდილი თვალწინ გვიდგა, როცა ქვეყანა მის მოლოდინშია, ყველა იმას უფარდებს თავის გამოსვლებს, საკითხი სულ სხვაგვარ ირკვევა. დღევანდელ მომენტში ასეთი გამოსვლები სამართლიანად შეიძლება კონტრ-რევოლიუციონურ გამოსვლად ჩაითვალოს.

— რატომ უნდა ჩაითვალოს?

— თავისდავად ცხადია. ამისი კითხვაც სირცხვილია ახალგაზრდა ყმაწვილისაგან. საკითხი თავად ლაპარაკობს თავის შესახებ, აქ საჭიროა მხოლოდ უბრალოდ შეფარდება.

— მე ადრე მირჩევნია, თორემ გადადება უსაშველოდ როდი მიმაჩნია.

— ვიცი, შვილო, თქვენ ყველას კარგათ გესმით საქმის ვითარება, ჩემზე ნაკლებ არ გაინტერესებთ არც დამფუძნებელი კრება, მაგრამ განგებ

მალაპარაკებთ, განზრახ მტანჯავთ. აბა მიიხედ-მოიხედე ვინ აპირობდა ჯვარის წერას დამფუძნებელ კრებამდე შენს გარდა. გარწმუნებ არავინ, ვინაიდან ყველა შეგნებულ მოქალაქეს ესმის მომენტის სიმძიმე და დამფუძნებელი კრების მნიშვნელობა.

— იმ დღიდან, ვიდრე დამფუძნებლამდე „დამფუძნებელი კრება“ ჩემი მიუვალი სიმაგრე და შეურყეველი ბურჯია. კადეტებმა თითქო იციან ეს ამბავი როცა ცდილობენ რაც შეიძლება გაგრძელონ ვადა მისი მოწვევისა.

მორიელი.

„მოსაქმენი“

მე ვფიქრობ: ერთობ ძნელია
„სახალხო“ მოღვაწეობა,
მრავალი საქმის პოტინი—
(ყოველგან „მეჩექმეობა“)
ხან აქ ფუსფუსი, ხან იქა
წაღმა უკუღმა ტრიალი...
აღმოეცლების კაცს სიქა,
ეწვევა გულის ფრიალი!
უდროოთ იგრძნობს სისუსტეს—
მოუდუნდება კუნთები,
თვით შესძულდება დაბოლოს,
თვისი სიცოცხლის წუთები
ეს კანონია ამგვარი
და სინამდვილეთ თქმულია,
ამა სიბრძნისა უარყოფა
ცოტა საძნელო, რთულია!..
მაგრამ სუფევან „გმირები“
ამ კანონს ეურჩებიან,
ჩვენი „მამულისშვილები“
„საქმისთვის“ იტანჯებიან;
„ქართველი ხალხის“ სიკეთე
სწადიათ, მისთვის იღწიან,
(მე თუ არ გადავამეტე—
ვგონებ, რომ კიდეც იბრძვიან);
მაგრამ კითხვაა: რას ქმიან?
ან რა საწადელს აღწევენ?
დიდი ხანია ოფლს ღვრიან—
შრომობენ, დაფარფატებენ;
სოფელ-ქალაქებს მოედვენ
თავისს „პარტიას“ აწყობენ
და ასე, ტკბილ-ტკბილ სიტყვებით
ზოგ-ზოგსა კიდეც ათრობენ!.
ჰო-და, რას ქმნიან ეს „გმირნი“
სად არის მათი ლაშქარი?
რატომ შთებიან, ვით მწირი
გარიყულ, განზე გამდგარი!?
რისთვის არ ირჩევს მათ ხალხი
რათ შეაქცია ზურგია,
რათ დარჩა ხმათა ტრაბახად
მხიბლავი მათ ლოზუნგია?!
ამდენი წელი „იღწვიან“
სად გაამაგრეს ბჟენია,
ნუ თუ ესდენი ლოდინი—
არ არის მოსაწყენია?!.
ახ, ნეტავ თქვენს მოთმინებას!—
როგორ სძლებთ „მოსაქმენია“;
რატომ ანგარიშს არ ითხოვთ,
რაღა გაქვთ მოსამკელია?!.
„ბევრი ვთესეთ“-ო! - იძახდით,
გამოგვიქედეთ ყურები,
დღეს ხომ აშკარათ გამოჩნდა
ფაქტების ნადასტურები!..
ოთხ-ოთხი ხმა ძლივს მიიღეთ
ამით ტრაბახობთ „გმირები“,
ილხინეთ, კიდევ იყვირეთ:
„ჩვენ მოგვდევს შრომის შვილები!“
ოცნებაც კარგი საქმეა—
აწ დაიმშვიდეთ გულები,
მოთავსდით თქვენ-თქვენს ქერქშია
გეყოფათ ტრაბახ-ტყულები;
ხალხი კვლავ ივლის თავის გზით
თქვენგან შორ განადგომია,
ნუ შესწუხდებით — იმათთვის
სხვა წრე მოსძებნეთ სჯობია!..

ალბურიონი.



ქუთაისი

(საზაფხულო კლუბის ბაღიდან)

წავიდა ჩემი სიჭაბუკის ამონაკვნესი,
უკანასკნელათ მოაჯირთან დამიკრა თავი;
ვატყობ არ მელის არასოდეს მე უკეთესი
და ყოველ წუთში მესმის ხმები სულ გულ საკლავი.
შენა გგონია ძმაო ეშმაკო, რომ დაგივიწყე
და აღვიკვეთე შენს „მათრახში“ ლექსების წერა?!
ნეტავ იცოდე რომანები, როგორ დავიწყე,
ნეტავ იცოდე ჩემი გულის და ტვინის ძგერა!
აღარაფერი ამა ქვეყნათ არ დამრჩენია,
ისე უაზროთ მიმაქროლებს გრძნობა წყეული,
ან დავმარცხდები, ეს ქვეყანა ვის, შერჩენია,
ან და გამოვალ ვით იობი ტანჯულ ძლეული.
საზამთრო კლუბის არ მინახავს ვფიცავ კარები,
საზაფხულოში ყოველ ღამე დავიარები;
ჯერ მას ვერ გეტყვი ვისი მომწონს სახელ გვარები,
ვისით გამიჩდა მძიმე წყლული დაიარები.
ოხ ვინ არ გინდა იქ არ იყოს და იქ არ ნახო:
ფილოსოფოსნი, ბანკირები და საპოჟნიკი,
თუ ტყუილი ვსთქვა, ჩემს სატრფოზე ჩამოვითალხო
და ჩემს სიკვდილზე არ გენახოს დაცლილი ტიკი.
ეხ ვინ არ გინდა იქ არ ნახო, „გიჟი“ ქალები,
მთელს შენს სიცოცხლეს შეიწირავს მხოლოდ თვალები
შორს, შორს, შორს ამ დროს და ისიც იქ იდეალები,
თუმც, რომ იცოდე ყველას სძულხარ არ ებრალები.
იცი „ეშმაკო“ იქ ბაღია, ბაღში გორაკი,
გორაკის შუაში ამოჭრილია ხნიერი მუხა,
რა კარგი არის ამ მუხაზე ტურფა გამაკი,
სულ ერთი არის მაინც მოკვდა ვინც სხვა იწუხა.
რევოლუცია აღარ სცხრება მაინც ქანჯალობს,
ეგ კითხვა არის, ველირსებით მის დამაგრებას!?
მოპირდაპირე, როგორც სჩანს ყოველ დღე ძალობს
და არვინ იცის მოგვახვევენ თუ ვისსა ნებას...
—ეი მიშველეთ, როგორ ავცდი მე წმინდა მიზანს!
ღმერთს გეფიცები, მხოლოდ გრძნობამ ამათამაშა!
მე კვლავ ბრძოლა მსურს ,მტერი მკაცრი ვერა რას
მიზამს
მხოლოდ მებრძოლებს, მედგარ გმირებს ვაშა და ვაშა!!

—

(გარეთ ლოტო)

ბედნიერება გააჩაღეთ ეგ ღამე ბნელი
და დღეთ გახადეთ გადალახეთ ბუნების ძალა:
რა კარგი არის ღამის ნამზე ცხოვრება ნელი,
მეთარეები დაუკარით საკრავი ჩქარა.
გადააბრუნე მელოტოვე შენც ლოტოს ჯარა
და ამ ცხოვრებას მიუმატე შენ შენი წვლილი,
სულ ოთხმოცის ვარ, ღმერთსა ვფიცავ და მეტის არა,
ამითამაშე გევედრები ეგ სახე ჩვილი.

—

(ბანქოს ოთახი)

ჰა ეს ოთახი მკრთალი ოთახი.
თუთუნის ბოლში გამოხვეული,
ჰა ეს ოთახი, ოთახი მთვრალი,
ოთახი ნაქებ და თან წყეული.
ვინ გინდა, შით რომ არ დაინახო:
უცხო, შინაურ და გინდ წვეული;
რა გინდა! შით რომ არ დაინახო,
სიგიჟე ფულით გამოწვეული.
ეჰ სოფელო! მე შენ რა გითხრა,
როდესაც ძალას ბოროტათ ხმარობ,
ქვეყნისთვის ლამის მიწა გაიჭრა
შენ კი საშველად სულ არა ჩქარობ.
აქ შეგიყრია მთელი ძალები:
მდიდარ, ღარიბი, ვალ..ანები
და მიჯდომიან ბანქოს მაგიდას,
მაუდის ცემას აუდის მტვერი.
კმარა ამათზე, თმენა არ იტანს,
სულით დაიმსხვრა და დავიჭ[illegible]ი;
განთიადისას, როს მამლების ყივილი სწყდება.
და გვახარიას ხაშმუშე*) [illegible] ეძლევიან
მოთამაშენი თავის საქმეს მაინც არ სცდება,
სანამ ერთისგან დანარჩენი არ იძლევიან.

სატ ნა.

*) დამსახურებული ქურდები.



ეშმაკი პროვინციაში

(გაგრძელება, იხ. „ეშმაკის მათრახის“ № 33).

გუდაუთი-სოხუმი.

გუდაუთიდან სოხუმამდე მშვენიერი საეტლო გზა მიდის ზღვის პირ-პირ. ნაკლი გზისა მხოლოდ იმაში მდგომარეობს, რომ უყურადღებოთ არის მიტოვებული, ოღრო-ჩოღრო და უხიდ-უბოგიროა.

გზათა მორწყვის შესახებ, რომ მგზავრი მტვერმა არ დაახრჩოს, არავითარი ზომები არ არის მიღებული. ეს უნდა ითქვას საზოგადოთ ყველა საეტლო გზების შესახებ აფხაზეთსა და სამეგრელოში. არსად სასოფლო გზებს არა რწყავენ.

მშვენიერი, მდიდარი, ნაზი და ველური ბუნება აფხაზეთისა არის გადაშლილი ჩვენს გარშემო. მარჯვნივ ლურჯი სივრცე ზღვისა, მარცხნივ მწვანე მთები და გორაკები.

სოფლები უფრო მთის ძირებშია შეხიზნული, ვინაიდან დაბლა, ზღვის ნაპირებში ჩასახლებულია ქალბატონი ცუცუ მალიარია, რომელიც ზამთრობით სადღაც იხიზნება, ხოლო ზაფხულობით მოდის აქა და შიშის ზარს სცემს მცხოვრებლებს.

მე ქალბატონი მალარია დაბა ოჩემჩირეში გავიცანი. სწორედ ის იყო ახლად ზღვაში ნაბანავები ქვე ნაპირას მწვანე მოლზე მივწექ და მივიძინე, რომ მოულოდნელათ თავს დამადგა ვიღაც მაღალ-მაღალი, ხელ-ხმელი და ყვითელ-ყვითელი ასული კოლონას ფრთებით, რომელთა გამქვირვალე ძარღვებში რაღაც შავ შავი ბუშტები მოსჩანდა.

— დაიძინეთ?—სიცილითა მკითხა მან, და მე ვიგრძენ, რომ მთელი მისი ძლიერება სწორეთ ამ სიცილში იყო.

მსწრაფლ ხელი გავიკარ მათრახზე, მაგრამ უკვ



გვიან იყო. მკლავებში მოულოდნელი კანკალი ამივარდა, ხოლო მას თან დაჰყვა გულის რევა და ზედმეტი სიცხე ორგანიზმისა.

მას შემდეგ, ვიდრე სურამის გვირაბიდან ხაშურისკენ არ გამოძვრა ჩვენი მატარებელი, მე მუდამ თან მდევდა აჩრდილი იმ ალქაჯი ქალბატონისა, რომელიც ასე დაუსჯელათ პარპაშობს მთელს აფხაზეთსა, სამეგრელოსა და გურია-იმერეთში.

ამ რევოლიუციამ არა ერთი და ორი ურჩი და მავნე პირი მოთურგნა, მელიტონ ემუხვარიც ლამის მშვიდობიანი და უშიშარი მოქალაქის პირობებში ჩააყენოს, მაგრამ ქალბატონ მალიარიას ფეხებზე ჰკიდია შენი რევოლიუციაც და კონტრ-რევოლიუციაც.

მოგახსენებენ, მას მხოლოდ კულტურისა ეშინიაო და თუ ეს მართალია ასეა, მაშ ჯერ კიდევ დიდი ხნის ბატონობა მოელის ჩვენს მხარეში.

სოხუმი.

შუადღეზე ცოტა გადასული იყო, როცა ჩვენ ქ. სოხუმში შევედით. რაღაც საქველმოქმედო მიზნით აუარებელ ხალხს მოეყარა თავი ქუჩებში. დავბინავდით სასტუმრო „ცენტრალში", არა მხოლოდ იმიტომ, რომ ცენტრალისტები ვართ, არამედ სხვა მოსაზრებითაც.

ტყუილი ამბავია, თითქო სხვისი ნალაპარაკევით ამა თუ იმ კუთხის, სოფლის გინდ ქალაქის გაცნობა შეიძლებოდეს. არა თუ სიტყვა, სურათზე გამოხატვაც მკრთალ შთაბეჭდილებას სტოვებს და მხოლოდ საკუთარი თვალი, აი ერთად ერთი იარაღი ნამდვილი მშვენიერების დასაფასებლათ.

კი დარაჯათ ამოსდგომია მწვანით შემოსილ მთათა რიგი.

განიერი და სწორი ქუჩები, ფართე ტროტუარებით, მართალია, ჯერ-ჯერობით ვერ არის საკარგისათ მოწყობილი, მაგრამ როცა ქალაქის კეთილდღეობა გამომჯობინდება, საუცხოო ნიადაგი იქნება ხეივნებისა და ყვავილნარების გასაშენებლათ.

უმთავრესი მშვენება სოხუმისა ეგ მისი ბაღები და ხეივნებია. სამწუხაროთ, რევოლიუცია ბაღებს ერთობ მტრულის თვალით უყურებს, თითქო იგი კონტრ-რევოლიუციონური დაწესებულება იყოს. თუ არ ამ მოსაზრებით, სხვაფრივ ძნელი ასახსნელია სამწუხარო მდგომარეობა სოხუმის ბოტანიკური ბაღისა. ეს დიდებული განძი ქალაქისა თითქმის უპატრონოთ მიუტოვებიათ და ფუჭდება ის, რის შექმნასაც რამოდენიმე წლები დასჭირდა.

მომავალი შავი ზღვის პირის რკინის გზა სოხუმს ზურგთ უკან გაუვლის. გაძვრება იმ გორაკს ქვეშ, რომლის ფერდობზედაც ზემორე აღნიშნული ბოტანიკური ბაღია გაშენებული გამოვა ქალაქის ბოლოზე. აშკარაა ადგილის სივიწროემ აიძულა ძველი მთავრობა, ელალატნა ჩვეულებისათვის რკინის გზა ქალაქის ახლო გაეყვანა.

კარგა ხანია ქალაქი სოხუმი ,,თავის" მხრივ მწვავე კრიზისს განიცდიდა. წარმოიდგინეთ უთაობის სიმძვინვარე იქამდე მივიდა, რომ ქალაქის თავად ნიკო თავდიგირიძეც კი აირჩიეს.

ღღეს ღღეობით საქმე სხვაგვარ დატრიალდა. ქალაქის ცხოვრება მის ნამდვილ პირისუფლებს ჩაუვარდა ხელში და პირისუფალი, რა თქმა უნდა, თავსაც სავარგისს გამონახავს და ფეხებსაც.



მე ვიტყვი და თქვენ იმედია დამიჯერებთ, რომ ქალაქი სოხუმი ულამაზესია ჩვენს სამშობლოში. წინ მას გაშლია ლურჯი სივრცე შავი ზღვისა, უკან

მე ძლიერ მესიამოვნა, როცა წარმომიდგა ახალგაზრდა გრძელ-წვერა, მაღალ-მაღალი, ხმამაღალი ყმაწვილი და მომახსენა.



— ქალაქ სოხუმის თავი, ბენიამენ გრიგორის ძე ჩხიკვიშვილი.

— დიდათ სასიამოვნოა, დიდათ სასიამოვნო და სასიხარულო.

მართლაც ბენია ჩხიკვიშვილი ვის არ გაუგონია ჩვენში და არა თუ ჩვენში, შორეულ ციმბირშიაც მან სახელი და სიყვარული მოიხვეჭა. ალბათ არ ანებებდენ, თორემ ცხადია სოხუმს სცოდნია თავის ამორჩევა.

თუ რამდენათ უყურადღებოთ იყო მიტოვებული მუნიციპალიტეტის ინტერესები ქ. სოხუმში ამას ნათლად ამტკიცებს შენობა გამგეობისა. თამამად შეიძლება ითქვას, რომ მას ერგება სიგლახის პრიზი ყველა დანარჩენ შენობათა შორის.

პირველი ჩემი ყურადღება სოხუმის ქუჩაზე ერთმა ახირებულმა სურათმა მიიპყრო. „აფხაზთა კლუბის“ წინ აუარებელ ხალხს მოეყარა თავი. შუაგულში სკამზე ახალგაზრდა აფიცერი იდგა, რომელსაც ხელზე, მსგავსად მიმინოისა, პატარა მხრებ ჩამოყრილი წიწილა ეკირა და ათამაშებდა.

— Двадцатъ одинъ рублей, кто больше! Пасматри, танцуитъ, танцуитъ.

საბრალო წიწილს გრძნობა დაჰკარგოდა, მხრები საწყლათ ჩამოეშო და უსიცოცხლო თვალებით მისჩერებოდა აფიცერს, თითქო ფიქრობს: ერთი დახედეთ რა დრო დამიდგა, რუსის აფიცერს ხელზე ვუზივარ და მათამაშებსო.

სიმართლე თუ გნებავთ, ის აფიცერი ისე მოხდენილათ ლაპარაკობდა: Танцуитъ, танцуитъ-ო, რომ აშკარად ემჩნეოდა უცხო არ იყო ქათმებით ვაჭრობისა.

ზოგიერთებს არ მოსწონთ, როცა სამხედრო პირები ქათმებსა ჰყიდიან, სადგურებზე მებარგეების როლს ასრულებენ, ჩექმებსა სწმენდენ, სემიჩკას ჰყიდიან და სხვ. მათი აზრით ეგ არ შეეფერება ხედართა ღირსებას. ჩემის აზრით კი ეს ერთადერთი გზაა მხედრობის დემოკრატიზაციისაკენ. ი ამიტომაც აღმაფრთოვანა სოხუმის ქუჩაზე ნანახმა სურათმა და ვსცადე იმისი თქვენს წინაშე აღდგენა.

დღევანდელი დღე სოხუმისათვის იშვიათი დღეა. ეს არა მხოლოდ იმიტომ, რომ მე შევედი ქალაქში აკაკის თანხლებით, არამედ იმიტომაც, რომ დღეს გაიხსნა ქვეყნის გაჩენიდან პირველი თავისუფალი კრება აფხაზეთის გლეხკაცობისა.

მიუხედევთ იმისა, რომ სიეზდებმა უკვე კბილები მომკვეთა და მათ ისე გავურბი, როგორც თედორე ღლონტი ლოღიკას, აფხაზ-გლეხთა სიეზდზე სიამოვნებით ამოვყავ თავი.

სიეზდი ერთობ მოსაწონია გარეგნული შეხედულობით. ქართლელ გლეხს რო აქ შემოახედო უთუოდ იტყვის:

— ერთი შახედოს კაცმა, რამდენი კნიაზი მოქუჩებულა ე გასაწყვეტიო.

საქმე იმაშია, რომ გარეგანი მოხაზულობითა და მოკაზმულობით აფხაზი გლეხი ძლიერ ჩამოჰგავს თავადიშვილს.

ჩემი სიტყვების დასასაბუთებლათ მომყავს აქ სურათი რამდენიმე პირისა, რომელთა სახის გამომეტყველება აშკარათ გიჩვენებსთ როგორც მათ თავადურ შთამომავლობას, აგრეთვე მათ სულიერ განწყობილებასაც.

ამხანაგი ა. ერთობ გაბედული, ენერგიული და მხნე გლეხია. მიწა რაც მეტი ექნება მით უკეთესია. კომპრომისები თავად-აზნაურობასთან არ მოსწონს. ლაპარაკობს წამში 18 კვანძის სიჩქარით, მკვახეთ და ლომ-გულათ. მომავლის იმედებით არის აღჭურვილი და დროებით მთავრობას მხარს უჭერს უკანასკნელ სისხლის წვეთამდე.

ამხანაგი ბ. მოხუცი, წინდახედული, გამოცდილი გლეხია. იგი მიწაში ღრმათ იყურება და საქმეს კოჭებში სინჯავს. დღევანდელი ვითარება ერთობ მოსწონს, მაგრამ ხვალინდელის იმედი მკვიდრათ არა აქვს გადაწყვეტილი. მიწა ამასაც ბევრი ურჩევნია, ხოლო სისხლის დაღვრა მიწისათვის პროგრამაში არა აქვს შეტანილი. ლაპარაკი დარბაისლური, თუმცა ჩქარი და მსტვინავი აქვს.

ამხანაგი გ. შუახნის მუშა-კაცია. ყველაფერზე ემჩნევა დაკვირვების ეპვიანობის ბეჭედი. საქმეს განიდან უყურებს, თითქო ეშინია, შიგ ფეხი არ ჩამიცდესო. მიწა რამდენიც უნდა მისცეთ, უარს არ იტყვის, ოღონდ სხვამ ჩამოართვას მიწის პატრონებს. ლაპარაკში ის თითქმის არავითარ მონაწილეობას არ იღებს, მხოლოდ უსმენს ბეჯითი მოწაფის ხალისითა და გულისყურით.

ამხანაგი დ. ცნობილია თავისი გულგრილობით ყრილობის სადაო საკითხთადმი. მისი აზრით



ასე წავა საქმე კარგია, ისე წავა კარგია. თითონ არ ლაპარაკობს, მაგრამ ყველას ნალაპარაკევი მოსწონს განურჩევლად რწმენისა და შინაარსისა.

შუა ნაწილი, ანუ წელის უბანი აფხაზისა, (მეგრელისაც, რასაკვირველია,) ასეთია

მიუხედავათ იმისა, ბლუზა აცვია, ჩოხა, თუ პიჯაკი, აფხაზს წელზე უთუოდ რევოლვერი ჰკიდია და რევოლვერი არა უმოკლეს ნახევარი არშინისა. ჩოხ ანები გარდა ამისა ხმალსა და ხანჯალსაც ატარებენ. ბლუზასა და პიჯაკზე ხმალ-ხანჯალი იშვიათია.

დავუბრუნდეთ ისევ აფხაზეთის გლეხთა ყრილობას. აკაკი ჩხენკელის კრებაზე გამოჩენას (მე ვიმალებოდი, თუმცა ერთმა ქალიშვილმა მაინც გამომნახა), დელეგატები აუწერელის აღფრთოვანებით შეეგებენ. როგორც მოსალოდნელი იყო მრავალი გრძნობით სავსე სიტყვები წარმოითქვა რუსულსა, აფხაზურსა და მეგრულ ენებზე. საზოგადოთ უნდა ითქვას, რომ წევრნი საოლქო გლეხთა ყრილობისა შეგნებულათ ეკიდებოდენ საქმეს.

კრება რამოდენიმე დღეს გაგრძელდა. უკანასკნელ სხდომაზე მოსმენილ იქმნა მოხსენება ამხ. ვ. ჯუღელისა.

ვ. ჯუღელი თავის მოხსენებაში შეეხო პეტროგრადის შეიარაღებულ გამოსვლას, დაჰგმო ის, როგორც ასეთი, და შემდეგ გადავიდა ბურჟუაზიაზე. რასაკვირველია, არც ბურჟუაზიას დააყენა კარგი დღე. სიეზდმა მოიწონა მოხსენება და მიიღო მომხსენებლის მიერ წარდგენილი რეზოლიუცია.

ვიდრე ქალაქის წარჩინებულ პირთა შესახებ ლაპარაკს დავიწყებდე საჭიროა ორიოდე სიტყვა სოხუმელ მანდილოსანთა შესახებ მომისმინოთ.

თეორიულად დიაცთა საკითხი ჩვენს პარტიას უკვე საკმაოდ გარკვეული აქვს, მაგრამ მიუხედავათ ამისა პრაქტიკულ ცხოვრებაში არა ერთი და ორი შემთხვევა სდგება ჩვენს წინაშე, როგორც მხატვრისა და იუმორისტის, რომლის სათანადო გადაწყვეტა პარტიული გზიდან გადახვევას მოითხოვს ხოლმე.

განსაკუთრებით ტრაღიკულია მხატვრული მომენტი გასაჭირისა. თქვენ ალბათ მოგხსენდებათ კრიტიკული მდგომარეობა მხატვრისა, რომელსაც ცალ-თვალა მეფემ სურათის გადაღება დაავალა. წინ წყალი და უკან მეწყერი დაუდგა საბრალო მხატვარს, ვინაიდან:

დახატავდა ცალ-თვალას, მეფე გასწყრებოდა: როგორ მაკადრე ცალ-თვალობა, მე ხომ მეფე ვარო და თავს მოაძრობდა;

დახატავდა ორივ საღი თვალით, მაინც გასწყრებოდა მეფე: შენ სიმართლეს ღალატობ, მე ხომ ცალი თვალი მაკლიაო, და თავს მაინც მოაძრობდა.

მოგხსენდებათ ალბათ ისიც, თუ როგორ დაახწია თავი განსაცდელს აღნიშნულმა მხატვარმა: მან მეფეს ხელში თოფი მისცა, წინ ირემი დაუხატა და ცალი თვალი დაახუჭვია.

ეს ყველაფერი კარგია, მაგრამ ყველა მხატვარს სად შეუძლია ასეთი მოხერხებული გზა გამონახოს? მდგომარეობა კი არსებითად ისეთივეა, როგორიც იმ მხატვრისა.

აი მოდის თქვენთან ქალბატონი ელენე და გეუბნება: აბა, ბ-ნო ეშმაკო, დამხატეთ ერთი...

მე ხატვა არ მეზარება ღმერთიც მოწამეთა მყავს და ჯოჯოხეთიც, მაგრამ უნებლიეთ იბადება საკითხი: დავხატო ასე, ვაი ბ-ნ ეშმაკს; დავხატო ისე, უი ბ-ნ ეშმაკს. ერთი სიტყვით ჩემს წინაშე სდგება იგივ ,,წინ—წყალი, უკან—მეწყერი'', მაგ-



რამ თუ კი ვიღაც ძველის-ძველმა მხატვარმა კი დაახწია თავი ასეთ მდგომარეობას, მე რაღა მაჩანჩალა ვარ ცხოვრებისა? მეც, რასაკვირველია, ვიპოვე გზა ხსნისა, ვინაიდან საკმაოდ შესწავლილი მაქვს ფსიხოლოგია კაკობრიობის ნახევარისა.

ასეთ შემთხვევებში მე მოვიკრებ ხოლმე მთელ ჩემს ძალ-ღონეს, მთელ მხატვრულ ნიჭს და ვხატავ მსურველ ქალბატონს 100% ორიგინალზე უფრო ლამაზს.

რა თქმა უნდა სურათი დედანთან სწორი არ იქნება, მაგრამ მოწონება დედანის მიერ უეჭველ უზრუნველყოფილია და ჩემთვის ამას დიდზე უდიდესი მნიშვნელობა აქვს.

ახლა დავუბრუნდეთ ქალაქის საპატიო პირებს.



სევასტი რამიშვილი, თუ არა ვცდები, ყველაზე უფრო პოპულიარული პიროვნებაა ქ. სოხუმში. გარდა იმისა, რომ ადგილობრივ კოოპერატივში ენერგიულ მუშაობას ეწევა, სევასტი ახალ ხმოსანთა რიცხვშიაც ურევია და რამოდენიმე კომისიის წევრათ არის არჩეული. გარდა ადგილობრივი კადეტებისა, სევასტის ყველა სიყვარულით ეპყრობა, რაიც თავისი დაუღალავი მოღვაწეობით დაუმსახურებია. მიუდგომლობა და სიმართლე მინდორში როდი ჰყრია, რომ ყველამ აიღოს და ჯიბეში ჩაიდოს. რა მიზეზით არის კადეტების სევასტისადმი უკმაყოფილება გამოწვეული — ჩვენ ვერ გავიგეთ, თუმცა საარჩევნო აგიტაციასთან უნდა ჰქონდეს განხეთქილებას კავშირი.

ვარლამ წივწივაძე აგრეთვე ერთ-ერთ წარჩინებულ პირთაგანია ქ. სოხუმისა. ძველათ, თვითმპყრობელობის დროს იგი ჩვენი ჟურნალის თანამშრომლად ითვლებოდა და სწორეთ მას უნდა მიეწეროს სოხუმიდან ცნობათა მოწოდების სიმცირე. გარდა ამისა მას ბევრი სხვა ღვაწლიც მიუძღვის. დღეს იგი სოხუმის კოოპერატივში იღვწის და ამასთან ქალაქის ხმოსანთა შორისაც დავინახე.

ეს სურათი, რომელიც გამოხატავს ადგილობრივ მოქალაქეთა ერთ-ერთ ტიპიურ წარმომადგენელს, გადაღებულია ჩემ მიერ აფხაზთა კლუბის წინ. ის მხოლოდ იმ პარტიას ეკუთვნის, ვინც მას არაყისათვის ათშაურიანს აჩუქებს. ტომით რუსია და ბევრიც უმოგზაურია დედა-რუსეთის სიგრძე-სიგანეზე.

დასასრულ უნდა შეეხო გამოსათხოვარ ნადიმს, სადაც თამადათ ერთხმად არჩეულ იქმნა სოხუმში დიდათ ცნობილი ამხ. დიმიტრი ზახარიჩი.

განსაკუთრებით მომეწონა მისი წეს რიგი თამადობისა, ვინაიდან პირველად ჩემს მოსწრებაში მან ყველაზე წინ ჩემი სადღეგრძელო დალია, როგორც ფუტურისტი მხატვრისა და გამომიყვანა იმ უხერხულ მდგომარეობიდან, რომელსაც გამოიწვევდა მასში მისი საკუთარი სურათის ნახვა,

რასაკვირველია, მარტო მისი კარგი თამადობით არ აიხსნება მისი სოხუმის საბჭოს თავმჯდომარეთ არჩევა, ვინაიდან ძველი ქალაქის თავი თავადი ნიკო თავდგირიძე ამ დარგში არა ნაკლებ ცნობილი იყო, მაგრამ სოხუმის დემოკრატიამ ის გააშავა.

ნადიმზე ჩემი ყურადღება დაიმსახურა აგრეთვე

მილიციის უფროსმა ბ-ნმა ხუცურბაიამ. მას ერთობ საოპერო მაღალი ტენორი აქვს და თუ ხმას დაამუშავებს ჩინებული მომღერალი დადგება.

საჭიროთ მიმაჩნია აღვნიშნო, რომ მე ვინახულე სოხუმის სკოლა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისა და აგრეთვე ,,ფინჯანი ჩაი'' ამავე საზოგადოების მიერ მოწყობილი. სკოლამ ჩინებული შთაბეჭდილება მოახდინა თავისი მოწყობილობით და მომავალშიაც დიდ იმედებს იძლევა.

რაც შეეხება ,,ფინჯან ჩაის'', იმის შესახებ რისიმე თქმას ვერ ვბედავ, ვინაიდან რამდენჯერაც არ მივედი ვერც ფინჯანი ჩაი ვიშოვე, ვერც ყავა და ვერც სოხუმში ცნობილი ,,ანკარა''.

სოხუმიდან ჩვენ ოჩემჩირესაკენ გამოვემგზავრეთ, რომლის შესახებ ვეცდები შემდეგ ნომერში გემუსაიფოთ.

ეშმაკი.

(შემდეგი დღეისწორს).

კომისართან.

სცენები 1 მოქმედებად.

(სცენა სწარმოებს ზემო იმერეთის ერთ-ერთ პროვინციის კომისართან).

(ვუძღვნი ვასო არაბიძეს).

მ ო მ ქ მ ე დ ნ ი   პ ი რ ნ ი:

კომისარი		36 წ.
ნარიმანი	ზემო იმერეთის გლეხები.	40 —
ნოშრევანი		50 —
ბასილა		45 —
ანთიმოსა		60 —
სალომე ანთიმოსას შვილი.		20 —
დარეჯანი		50 —
სალდათი დარეჯანის შვილი.		25 —
გარა ლოთი ძველი წუღების მკერავი (ფინაჩი)		37 —
1 მილიციონერი		
2 მილიციონერი		

(სცენა წარმოადგენს კომისრის კანცელიარიას. კანცელიარიის გაღებულ ფანჯრიდან მოსჩანს „კარიდორში“ მდგომი მთხოვნელები. დიდი ჩოჩქოლი და ლაპარაკია, ელიან კომისარს. დილაა. ისმის მილიციონერის ხმა: „მოითმინეთ, ხალხნო, მოითმინეთ!“ ამ დროს გამოჩნდება კომისარი, რომელსაც შემოესევიან მთხოვნელები და მიესალმებიან: „პრისტავს გაუმარჯოს, პრისტავს!“ კომისარი იწევს კანცელიარიისკენ და დიდის ვაივაგლახით ცალი გვერდით შემოძვრება კანცელიარიაში. შემოჰყვება ხალხიც, მაგრამ მილიციონერი ერეკება გარეთ).

I

კომისარი და მილიციონერი.

მილიციონერი. მოითმინეთ, მოითმინეთ და ყველას დაგიძახებთ (კარების შიგნით გაჩერდება).

კომისარი. ფუ, დასწყევლოს ღმერთმა, კინაღამ დამახრჩეს კაცი! არა, ამათ გაძლებას ჭეშმარიტად რკინის თავი უნდა! ვაი, ნიკოლოზო, შენ დაგექცეს ოჯახი, როგორც შენ ჩემ საუბედუროთ გადმოვარდი ტახტიდან. ეხლა დაუჯექი ამათ და იხეთქე თავი! ზოგს წიწილი დაუკარგავს, ზოგს კვერცხი, ზოგისთვის ღობე გაურღვევიათ და ყველა აქ მორბის საჩივლელათ! არ ვიცი, არ ვიცი ამდენ კლიაუზნი საჩივრებს როგორ უნდა გაუძლო!

მილიციონერი. ნეტა ძველათაც თუ ასე იყო, როგორ უძლებდნენ ბოქაულები!

კომისარი. ძველათ, ჩემო ვანო, თავს არავინ გაიცხელებდა მაგათთვის და ზოგიერთებს კაი-კაისაც მიარტყამდნენ, და თუ ცოტათი შეიწუხებდნენ თავს, სამაგიეროთ ჯიბეებს ისქელებდნენ.

მილიციონერი. მაინც და ერთი-მეორეს რომ არ აცლიან!

კომისარი. სწორედ მაგაშია საქმე, თორემ რომ აცლიდნენ და დალაგებით ლაპარაკობდნენ, რაღა მიჭირდა მაშინ!

ხმები: „ბატონო, დაგვაღამდა, სამართალი მოგვანიჭე, სამართალი!“

კომისარი (მილიციონერს). გაუღე კარები და რიგ-რიგათ შემოუშვი, თორემ შეგვჭამენ! (მილიციონერი კარებს გააღებს. ხალხი კარებს მოასქდება, მაგრამ მილიციონერი ერთს შემოუშვებს მხოლოდ დანარჩენს კი გარეთ ერეკება. თითონ ისევ კარებში დგება შიგნით).

II

იგინივე და ნარიმანი.

ნარიმანი (ძველი ჩოხა-ახალუხი აცვია, ფეხებზე ქალამნები. ყაბალახს გადაიხდის და მდაბლათ სალამს აძლევს კომისარს). პრისტავი აცოცხლა ღმერთმა!

კომისარი (ნაწყენი). უკაცრავად, ამხანაგო, მე პრისტავი არ გახლავართ! მე ვარ ხალხის მიერ ამორჩეული მმართველი, ანუ კომისარი.

ნარიმანი. ხო და ხალხის ამორჩეული რომ ბრძანდები, შენ დაგენაცვლოს ნარიმანი, მეც იმიზა გიხსენიებ ზდილობიანათ.

კომისარი. ზდილობა კი არა, პრისტავის დაძახება ჩემთვის შეურაცყოფაა, გესმის?

ნარიმანი. მესმის ბატონო პრისტავო!

კომისარი. კიდევ! კაცო, მე პრისტავი არა ვარ, გესმის თუ არა?!

ნარიმანი. იმე! ბოშო, მე ზდილობიანათ გიხსენიებ და შენ ქე მიწყრები!

კომისარი. ბძანეთ, ბატონო, რა გინდათ, მე ამდენი დრო არა მაქვს.

ნარიმანი. მოგახსენებ, შენ დაგენაცვლოს ნა-

რიმანი, მარა დალაგებით მომისმინე და ნუ გამიწყრები, პატონო პრისტავო.

კომისარი (შეწუხებული). ოხ, რა ვქნა! კიდევ პრისტავი! კაცო, გადაშენდა ის პრისტავები აღარ არის, რით ვერ, გაიგე!!. მითხარით, ბატონო, რისთვის მოხვედით ჩემთან, რა გინდათ?

ნარიმანი. მოგახსენებთ შენი ჭირიმე. შენ განათლებულ შუბლს დაენაცვლოს ნარიმანი ყორისფელი დალაგებით მომისმინე. მე, როგორც მოგეხსენებათ ერთი ღარიბი გლეხი გახლავართ და იმედია, ბატონო, პრის... ბატონო კომიტატო, სამართალს მომანიჭებთ და უზაკონოთ არ დამჩაგრავთ.

კომისარი. გისმენთ, სთქვით რაშია საქმე?

ნარიმანი. შენ დაგენაცვლოს ნარიმანი, ხო... იგი ჩვენი იორდანე პირშავაძის ბიჭი რომაა, ბატონო, პროკლია, ქე გეცოდინება შენც. შენი გოუგებარი რაღა იქნება ქვეყანაზე, შენ დაგენარვლოს ნარიმანი.

კომისარი. მერე, სთქვით რაშია საქმე?

ნარიმანი. ისემც კაი დაგემართოს! ის პროკლია, ბატონო, ნამდვილ ძველი თაობის უნდა იყოს, შენ დაგენაცვლოს ნარიმანი, თვარა ის რომ ახალთაობის იყოს, რავა ჩემისთანა გაჭირვებულ ადამიანს ასეთ დღეს დააყენებდა!

კომისარი (დაყვავებით). სთქვით, ამხანაგო, რა გიყოთ იმ-პროკლიამ?

ნარიმანი. იმე! რეიზა იკადრებ, ბატონო, მე სიდოური შენი ამხანაგი ვარ, შენ დაგენაცვლოს ნარიმანი!

კომისარი (მოთმინებიდან გამოსული). ოხ, რა ვქნა!

ნარიმანი. ნუ გამიწყრები შენ დაგენაცვლოს ნარიმანი. მოგახსენებთ, ბატონო პრის... ბატონო კომიტატო. იმ პროკლია პირშავაძემ დამღუპა და დამაქცია თელათ კაცი! ღორი მომიკლა, ბატონო, შენ დაგენაცვლოს ნარიმანი, მისთანა მაკე ღორი რომე მისი ცალი საქონელი ქეც არ დაიარებოდა ჩვენ საზოგადოებაში. მისთანა გაბიზინებული დადიოდა, ბატონო კომიტატო, რომე თელათ ზანზარი გაქონდა მიწას, შენ ნუ მოუკვდები ნარიმანს!

კომისარი. მერე და რისთვის მოგიკლა, რა არის მიზეზი.

ნარიმანი. რა ვიცი, შენ დაგენაცვლოს ნარიმანი, ქე კი დამაფსო და დამაქცია კაცი და! მერე რავალი გაბიზინებული, ბატონო, რავალი მაკე! ვაი, ჩემი ცოდვა ნუ გამოულიოს მას მამაზეციერმა

კომისარი. ფასად რა ეღირებოდა თქვენი ღორი?

ნარიმანი. რა ვიცი, ბატონო, რა ეღირებოდა! მისი ფასი, შენ დაგენაცვლოს ნარიმანი, ხუმრობა კი არ არის ახლანდელ დროში! ვაიმე, რავა დამაფსო კაცი, რავა დამღუპა მე უბედური! (წუწუნით) დედა, რომ მოუყრიდა ცამეტ კუდებჭრელა გოქვებს და დაიწყებდნენ ღრუტუნს...

კომისარი (სიცილით აწყვეტინებს). ხა, ხა, ხა, ხა! მერე და რა იცი რომ ნამდვილათ ცამეტი ეყოლებოდა და ისიც კუდებჭრელები!

ნარიმანი. კი, შენ ნუ მოუკვდები ნარიმაეს! ისეთი ჯიშიანი ღორის დამაკებული იყო, ბატონო, რომე ცამეტი და თორმეტი თუ არა, თერთმეტი მაინც ეყოლაბოდა შენი რისხვა ნუ მომეცემა!

კომისარი (იცინის). ხა, ხა, ხა, ხა! კარგი, კარგი. რა ჰქვიან იმას, ვინც შენ ღორი მოგიკლა?

ნარიმანი. პროკლია, შენ დაგენაცვლოს ნარიმანი.

კომისარი. გვარი?

ნარიმანი. პირშავაძე, ბატონო.

კომისარი. რომელი საზოგადოებისაა?

ნარიმანი. მერევის საზოგაოოების, შენ დაგენაცვლოს ნარიმანი.

კომისარი. კარგი, დავიბარებთ ხუთშაბათისთვის იმ პირშავაძეს და თქვენც მოდით იმ დღისთვის, როგორმე მოგარიგებთ. ეხლა მიბძანდით.

ნარიმანი. კი, ბატონო, გიახლებით. (მიდის, მაგრამ კარებიდან მობრუნდება) მაგრამ... ხო... ის არ დაგავიწყდეს, შენ დაგენაცვლოს ნარიმანი და დაბეჯითებით ჩასწერე ყნილაში, რომე ღორი ნამდვილ მაკე იყო, შენი ჭირი შემეყაროს. (მიდის).

კომისარი (სიცილით). ჰო, კარგი, კარგი.

ნარიმანი (მობრუნდება). მერე, მისთანა ჯიშიანი ღორის დამაკებული, შენ დაგენაცვლოს ნარიმანი რომე...

კომისარი (აწყვეტინებს სიტყვას). ჰო, კარგი, კარგი, ყველაფერს გამოვიძიებ.

ნარიმანი (გულზე ხელის რტყმევით მიდის). ვაი დედასა, რავალი გაბიზინებული იყო, რავალი მაკე! რავა დევიფსე კაცი! (გადის).

კომისარი. ხა, ხა, ხა, ხა! „უსათუოდ ცამეტი ეყოლებოდა და ისიც კუდებჭრელები!“-ო როგორ მოგწონს, ვანო, ჰა?

მილიციონერი. რა ვიცი, დასწყევლოს ღმერთმა! მე სანამ ცხრა თვე არ გევიდა ვერ გევიგე ჩემ ქალს ტყუპი ეყოლებოდა თუ ცალი და მაგი კი დაჯინებით გაიძახის მანდამაინც ცამეტს მოყრიდაო! ალბათ მარჩიელს თუ არჩევია (იცინის).

პ რ. ხმა: „მეიცა, ბოშო, ჩემი რიგია!

მეო . ხმა: „იმე, მე უთენია მოვსულვარ აქანა და ახლა შენ შეგიშვებ გგონია! (ჩოჩქოლი ისმის)

კომისარი. (მილიციონერს) შემოუშვი ის წუხანდელი დაჭერილი ლოთი. (მილიციონერი კარს აღებს და შემოჰყავს გარა).

III

კომისარი, მილიციონერი და გარა.

კომისარი. (გარას) თქვენ ითვრებით, ღვინოს სვამთ და წესიერებას არღვევთ.

გარა. (ძველი წუღების მკერავია, ანუ ფინაჩი. ჭუჭყიან პერანგზე ძველი ახალუხი აცვია. ფეხებზე ძველი ჯღანები აქვს. წინ ღამით ნამთვრალევი გარეტიანებული სდგას, თვალებს ველარცა კი ახელს). რას ვამღვრევ! მე ღვინოსა ვსვამ და რა ვიცი იქ (მუცელზე აჩვენებს) იმღვრევა თუ იწმინდება!

კომისარი. თქვენ ხუმრობას თავი დაანებეთ გირჩევნიათ!

გარა. რა ხუმრობა, რის ხუმრობა! ასამღვრევი ღვინო სად არის, გასპადინ პრისტავ!

კომისარი. (ხმა მაღლა) ამღვრევთ კი არა, არღვევთ მეთქი!

გარა. დიახ ვარღვევ. მაშ ჩემი ხელობა მეტი რა არის! ფინაჩი კაცი წუღას ან დაარღვევს, ან შეჰკერავს.

კომისარი. ხა, ხა, ხა, ხა! (გვერდზე) ამას სხვანაირათ უნდა ველაპარაკო, თორემ სხვა გზა არ არის. მე თქვენ მიფრთხილდით! (პაუზის შემდეგ) მომეცით სიტყვა რომ აღარ დაითვრებით და მაშინ გაგიშვებთ ამ ერთხელ.

გარა. ვა, მირონცხებულმა კაცმა ღვინო არ დალიოს სად გაგონილა!

კომისარი. მე თქვენა გკითხავთ: მაძლევთ სიტყვას რომ აღარ დალევთ თუ არა?

გარა. რა ვქნა, ცოტას დავიკლებ, ბატონო, ორ ბოთლს გიახლები დღეში.

კომისარი. (სიცილით) ხა, ხა, ხა, ხა! ორი ბოთლი ჰა? გულზე რომ დაგადგეთ? მე გიმეორებთ: თუ მომცემთ სიტყვას რომ აღარ დალევთ მაშინ გაგიშვებთ, თუ არა და ციხეში გაგზავნით იცოდეთ.

გარა. ნუ, თქვენი ხათრისთვის ერთი ბოთლი იყოს, ბატონო, მეტი რა ვქნა!

კომისარი. ხა, ხა, ხა, ხა! მოდი ეხლა და ამას ელაპარაკე! (გვერდზე) ეს თუ არ შევაშინე სხვანაირათ არ მოხერხდება. (მილიციონერს თვალს უზამს და გარას შესაშინებლათ) ვანო, გადაეცი სხვა მილიციონერებსაც და შენც არ დაგავიწყდეს. ნახოთ თუ არა მთვრალი ბაზარში ეს ვაჟბატონი, მაშინვე ესროლეთ.

გარა. ბაზარში სულ არ გავალ, ბატონო, სახლში მოვიტან ღვინოს, დავითვრები და იქვე დავიძინებ.

კომისარი. (გადიხარხარებს) ხა, ხა, ხა, ხა! მაშ ვერ ეთხოვებით ღვინოს, ჰა?

გარა. რა ვქნა, შენი ჭირიმე, თათარი ხომ არა ვარ რომ ღვინოს თავი დავანებო! მეც მონათლული ვარ და მეც მირონი მცხია.

კომისარი. (ღიმილით) კარგი, ამ ერთს გაპატიებ და თუ კიდევ გაგივლია ბაზარში მთვრალი, მაშინ მე ვიცი!

გარა. არა, ბატონო, სახლში დავითვრები და იქვე დავიძინებ.

კომისარი. წადი, ეხლა არა მცალიან შენთან სალაპარაკოთ. იცოდეთ თუ მთვრალი დაგინახე, ცუდათ წაგივა საქმე

გარა. (მიდის, მაგრამ ისევ შემობრუნდება.) თითო ჩაის სტაქანი რომ დალიოს კაცმა პახმელიაზე, მითომ მინავათობა იქნება?

გოგია.

(შემდეგი იქნება)

დრონი მეფობენ



დიასახლისი. ნეტავ რა მოხდა, რომ ერთი კვირაა ქათმები კვერცხს აღარ სდებენ.

ქათმები. გეყოს დაია რაც ამდენ ხანს დაგიდეთ. ქვეყანა იფიცება და ჩვენ კი რაღა ვართ.

რედაქტორი **ეშმაკი**, სტამბა **ვ. რუბაძისა**, გაბაევის № 1